ნიანგი

7 83

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლად შეუწყნარებელია ფაქტები, როც
სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ პირებს
საამისო საფუძვლის უქონლად.

გაზეთებიდან

ნახ. მ. აბაშიძისა

„დაგეძებთ და ვერ გპოულობთ, ნეტავ, სადა ხართ?!..“

აკაკი გეწაძე

თეთრი ლექსი შავ-შავ ამბებზე

როდესაც ზარმაცს და მუქთახორას,
ბაქიბუქას და ალოღლეტიას
ნათლავენ გამრჯე ადამიანად,
როცა ფუტუროს ცივი ნათება
საღდება შუქად მხურვალე მზისა,
თანაც ლოცავენ გუნდრუკის კმევით,
ჩვენ კი ამ ამბავს უნყინარი დუმილით ვხვდებით,—
განა ჩვენ იმათზე ცრუები არ ვართ?!
განა ჩვენ არა ვართ ნამდვილად ბრმები?!

როდესაც ქოსას, მელოტთავიანს,
უქებენ ქოჩორს, წვერსა და ულვაშს,
არა ქილიკით, — საოცარი თავდაჯერებით,
თავის ნათქვამში მერმე სხვებიც რომ დაარწმუნონ
და სხვებიც ამას იჯერებენ სერიოზულად, —
ეს ჩვენი სიბრმავეც არ არის განა?!
ეს ჩვენი სიცრუეც არ არის განა?!

როცა ეშმაკი ანგელოზის ფრთებით დაფრინავს,
როცა უწმინდურს და ვიგინდარას,
შინა თუ გარეთ,
თავს ადგამენ წმინდანის გვირგვინს
სიყალბის მქმნელნი,
რათა ამა გზით და ამა ხრიკით
თავიანთი უწმინდურობაც შენიღბონ იოლად,
ხოლო ჩვენ ვდუმვართ,
ვდუმვართ თევზებივით, —
განა არ ხდება უწმინდური ჩვენი სულებიც?!
ჩვენ უარესი ყალბისმქმნელნი არ ვხდებით განა?!

როდესაც სკამით იზომება მავანის ნიჭი,
მადლი გონების, ღირსება და უნარი კაცის,
როცა ეჩოკაცს თავი მოაქვს ერის მოღვაწედ,
კარიერისტი პატრიოტის ნიღბით რომ დადის,
ხოლო ჩვენ ამას ვურიგდებით გულარხეინად, —
ჩვენც ბოროტების ხელშემწყობნი არ ვხდებით განა?!
განა არ ვხვდებით უფრო მეტად ცოდვილნი ჩვენა?!

ეჰ. ისე როგორ ვბრმავდებით ზოგჯერ,
რომ კაცსა და სკამს ვეღარ ვანსხვავებთ?!
მავანი კაცი, მომხვეჭელი ყალბი დიდების,
ყველა ნაძირალაზე ნაძირალა არ არის ვითომ?!
ყველა ყაჩაღზე უყაჩაღესი
და ყველა ქურდზე უქურდესი არ არის ვითომ?!
და ჩვენ მის ზეიმს ხელს რომ ვერ ვუშლით, —
არა ვართ საზიზღარნი იმ კაცზე მეტად?!

როცა მოსამართლე ქრთამს ართმევს მექრთამეს,
რათა იმ მექრთამემ ისევ იპარპაშოს გულბნელი
ზრახვებით,
ატყუოს ხალხი თაღლითური ოინბაზობით,
არამი ლუკმა ჭამოს თვითონ, აჭამოს სხვებსაც, —
არ არის განა ის მოსამართლე უფრორე გულბნელი?!
მექრთამე თაღლითზე უფრორე მექრთამე?!
ციხის ბნელ ჯურღმულში ჩალპობის ღირსი?!
ამა ქვეყნიდან უგზო-უკვლოდ გაქრობის ღირსი?!
განა არ არის ეს საერთო უბედურება
და ჩვენც არა ვართ ხელშემწყობნი ამ
გულბნელობის?!

ვინც მართლმსაჯულების სახელით
პირველი არღვევს მართლმსაჯულებას,
თქმაც ზედმეტია — უსაშველო დამნაშავეა!
მაგრამ, ვინც არ სჯის ამ დამნაშავეს, —
განა არ არის დამნაშავე უპირველესი,
უცოდვილესი ზეცისა და მინის წინაშე?!

ჰა, როცა ნალდი სიმართლის თქმის ზეიმობს ჟამი,
პატიოსნების უბერავს ქარი,
რომ დღეს დღე ვუწოდეთ და ღამეს — ღამე,
ვამხილოთ ყველა სულმდაბალი და ყალბისმქმნელი!
დრო აღარ ითმენს!..

ნახ. მ. აბაშიძისა

— რა ეკონომიკურ ეკონომიაზე უნდა ილაპარაკოთ, როცა ერთი კაბინეტისათვის ორი კარი ჩამოგიკიდიათ?!.

ხელმძღვანელმა დაიკვეხა:

საწარმო სულ ნაცნობებით, ახლობლებით და ნათესავებით დავაკომპლექტე!

კულტურული მომსახურება უმაღლეს დონეზე ავიყვანე— დღის ყოველ მონაკვეთში შაშით, ჭადრაკით და ნარდის თამაშით ერთობიან!

შრომის დისციპლინაც ავამაღლე: მოსვლასა და წასვლაზე ყველა ხელს აწერს!

არც ოჯახებით ვართ ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაში: ყველა კამპანიაში, — როგორც საწარმოში, ისე ოჯახებში, — სულ თამადად გახლავართ!

ჰოდა, ასეთი ოპერატიული ღონისძიებებით კრიტიკა ნულამდე დავიყვანე და რას მერჩით?!.

აკაკი ქავზინაძე

ნაკვესები

- **ოქროს** პატრონს ოქროს ხასიათი აკლდა.
- **უსაქმურმა** თავი ვერ დაისაქმა და მოსამართლე დაასაქმა.
- **დედას** შვილის დაბადების დღე არ ავიწყდებოდა, ცოლს — ქმრის ხელფასის აღების დღე.
- **საქმისათვის** თავის მოქონვით თავი მოჰქონდა.
- **გამყიდველს,** სასწორზე დაჭერით, თითი გაუთხელდა, მომხმარებელს კი — ჯიბე.
- **კომბინატორს** სახსრების ტკივილი სახსრებმა მოურჩინეს.
- **უკბილო** კბილის ექიმის საკბილო გახდა.
- **განძის** მაძიებლის საქმე გამომძიებელმა მოიძია.

ოთარ ნაბუეგია
(ქ. სოხუმი)

მიწერებს შეეწირა!..

სარგვეშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ჭიჭიკო პაქსაშვილი გეგმების შესრულებასთან მწყრალად გახლდათ.

რაც მან ფიქრი და ღონე მიწერების ბადის ქსოვას შეალია, ის რომ კარგ საქმეზე დაეხარჯა, გეგმებს ასით კი არა, ორასი პროცენტით შეასრულებდა, მაგრამ წაღმართიან მოქმედებას უკუღმართი გზით სიარული არჩია.

ამ უკუღმართ გზაზე დაიმეგობრა **კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი იასონ ბინაძე** და **ფერმის გამგე გოგია ცისკაძე.** სოფლის ამ ვაითავკაცებმა ქსოვეს და ქსოვეს მიწერების ბადე და, მათთვის მოულოდნელად, თვითონ გაეხვივნენ ამ სიცრუის სათხეველში.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ცრუპენტელა სამეული ადგენდა ყალბ აქტებს პირუტყვის შეძენაზე, სილოსის ჩადების გეგმის შესრულებაზე, და წერდნენ და წერდნენ სალაროდან ფულის გატანის ფიქციურ ორდერებს.

ამ გზით გაჰქონდათ სახელმწიფო ბანკიდან თანხები და ერთმანეთში ინაწილებდნენ. ასე დაიტაცეს **3.281 მანეთი.** ასევე უკანონო გზით მიიღეს **1.990** მანეთი **მოლარე ვარინკა კურტანიძისაგან,** რომელიც ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. მათვე კოლმეურნეებს (**ზ. გობიანი, რ. ბუხნიკაშვილი** და სხვ.) **1.844 მანეთის** პირადი ქონებისა და სხვა მატერიალური ზარალი მიაყენეს. ესეც არ იკმარეს; გეგმის შესრულების ანგარიშგებაში 6.232 **მანეთის** წამატება მოახდინეს, რითაც, არსებითად, აზარალეს სახალხო მეურნეობა. **ექვსი სული მოზარდი პირუტყვისა და 1.707 ცენტნერი სილოსის წამატებამ 4.697 მანეთი შეადგინა.**

ახლა ცრუპენტელა სამეულს უკვირს, როგორ ამეტყველდა ქაღალდზე არსებული პირუტყვი და ვითომ მათთვის დამზადებული სილოსი. უკვირთ, მაგრამ გასაკვირველი არაფერია, შუბი ხალთაში არ იმალება!

ზოგიერთი საგულისხმო განმარტებაც: **ჭ. პაქსაშვილი, ი. ბინაძე** და **გ. ცისკაძე სკკპ წევრები** იყვნენ (ვაი, სირცხვილო!). პირადად **გ. ცისკაძემ სარგვეშის კოლმეურნეობას 1.594 მანეთის მატერიალური ზარალი მიაყენა.** წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულებმა სარგვეშის კოლმეურნეობას აუნაზღაურეს **3.995 მანეთი,** დასაფარავი დარჩა 708 მანეთი, რაც პირადად **გ. ცისკაძემ** უნდა ზღოს.

სისხლის სამართლის დამნაშავეთა ეს საქმე ორჯონიკიძის რაიონში გამსვლელ სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ **(თავმჯდომარე — რ. ხმალაძე).**

ჭ. პაქსაშვილს, გ. ცისკაძესა და ი. ბინაძეს სასჯელის სხვადასხვა ზომა შეეფარდათ, ქონების კონფისკაციით, აგრეთვე სხვადასხვა ვადით აეკრძალათ სასჯელის მოხდის შემდეგ ხელმძღვანელ, მატერიალურად პასუხსაგებ და საფინანსო დარგში მუშაობა.

სასამართლო კოლეგიამ იმსჯელა არა მარტო მომხდარ დანაშაულზე, არამედ მის გამომწვევ მიზეზებზეც. ამიტომ გამოიტანა კერძო განჩინებები: **ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის ვ. კვიკინაძის** მიმართ, რომელმაც ცხრა თვის მანძილზე მიმდინარე გამოძიებისას დაუშვა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების 30-ე და 129-ე მუხლების მოთხოვნების შეუსრულებლობა; **ორჯონიკიძის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მიმართ,** სადაც სათანადო სიმაღლეზე არ დგას საკონტროლო აპარატი; **სკკპ წევრის ვ. კურტანიძის** მიმართ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თანამდებობა.

ეს განჩინებები რეაგირებისათვის გადაეგზავნა პარტიის რაიკომს, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას, რესპუბლიკის პროკურატურას.

ს. ხვამლელი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— ვერც ერთი კროსვორდი ვერ ამოხსენით და რა ნამუსით მოითხოვთ პრემიას კარგი მუშაობისათვის?!

ჯერ კიდევ უმაღლესი სასწავლებლების აღზრდილთა დიდი ნაწილი „იკარგება“ განაწილების ადგილისაკენ მიმავალ გზაზე.

ერთი ბიჭი დაგვეკარგა, წითელდიპლომა!..

კრიზისი ქვემოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორმა შეუბღვირა: ტრიბუნაზე ადიო,
მაგრამ არც შამფური დაწვა, თანაც — არცა მწვადიო,
ჩემ კაცს ყველას კარგად იცნობ, არვის გაჰკრა თათიო,
თუ არ გინდა, დღესვე შენი შევამცირო შტატიო,
შეეცადე, ჯერ დაბლიდან რომ აიღო სტარტიო,
აკრიტიკე ყველა ბრიყვი, რეგვენი და ბატიო,
ჯოხი მათზე გადატეხე, სიტყვაც არ აპატიო,
შიშით სხვებსაც რომ წაერთვას ძალა, არაქათიო!
ჰკა მოლარეს, ნაქურდალით რომ აავსო სახლიო,
ის მტვირთავი მუშაც არის დიდი მამაძაღლიო,
დასცხე ნოქარს, საკუთრებად რომ აქცია დახლიო!
მძღოლსაც მაგრად შემოჰკარი, ცხვირში წასკდეს ძმარიო,
უფროსები გულით გვაქე, რომ აგიბათ მხარიო!
აი სია — შიგ სუყველა მოწინავის გვარია,
თან გაფრთხილებ, შიგ უღირსი არავინ არ გარიო!
არ ახსენო, ჩვენს კოლექტივს ვინაც უთხრის ძირსაო,
ვინაც გვირღვევს მყუდროებას, სიმშვიდეს და ძილსაო!
ვინც ხელს გვიშლის, ლაყბობს, ჩივის, საქმეშია ბეციო!
შენ ყველაზე მკაცრად მაინც დამლაგებელს ეციო!
თქვი: „გეგმებს რომ ვერ ვასრულებთ და ჩამოვრჩით ძალიან,
დისციპლინაც რომ არა გვაქვს, დამლაგებლის ბრალია!“
თან დასძინე: „დირექტორი მკაცრად არვის არა სჯის,
თორემ ასჯერ მოსახსნელი იყო ჩვენი დარაჯიც!“
.. და ავიდა ტრიბუნაზე შიშითა და ვაებით —
დირექტორის კაბინეტში ასჯერ განაშავები,
დაიყვირა: „ყველაფერში ჩვენ ვართ დამნაშავენი!
ხალხნო, თვალებს რატომ ვხუჭავთ, რად არ ვამბობთ სიმართლეს?:
ჩვენი ვაიდირექტორით წელში ვერ გავიმართეთ!
მოყვრებით და მეგობრებით მან აავსო კადრები,
მისი შიშით სული გვძვრება, თაგვებივით დავძვრებით!
ყოყლოჩინობს, მედიდურობს და დიდგულობს ძალიან,
რომ ვუთმენთ და ხმას არ ვიღებთ, ეს ხომ ჩვენი ბრალია?!
ცნობილია, აშკარაა, კარგს ავისგან ვერ არჩევს,
მაინც ვდუმვართ, გვეშინია, ვერ ვუბედავთ ვერაფერს!
თქვენ იკითხეთ, თორემ მე კი ვიეშმაკე ამჯერად, —
ველარ მომხსნის! — დავასწარი განცხადების დაწერა!“

ვანო ცინცაძე

სივრცე

სარწმუნო ამბავი, ერთი დირექტორის კაბინეტში მომხდარი

— შეიძლება?

— რა გნებავთ?!

— მე ჩირაძე გახლავართ, კარამელის საამქროდან!

— მერე?!

— ჩირაძე გახლავართ!..

— ჩირაძე?!. მესმის, ჩივაძე იყო!.. ხომ ხედავთ, დაკავებული რომ ვარ?!

— საქმე ის არის, პატივცემულო დირექტორო, რომ მე ბიძაჩემის დისწული ვარ!

— სხვათა შორის, მეც ჩემი ბიძის დისწული ვარ და დეიდაჩემისაც, მამიდაჩემის — ძმისწული, ბიძაშვილის — ბიძაშვილი, დეიდაშვილის — დეიდაშვილი!..

— საქმე ის გახლავთ, რომ ბიძაჩემი დიდვაძეა, სახელად ბარამი ჰქვია!.. მამის სახელიც მოგახსენოთ?!

— რაო?! დიდვაძის?! ბარამ ბაირამოვიჩის?! თქვენ ვინ გგონივართ, მეგობარო?! რა კარებში გაჩერებულხარ, შე კაცო?! შემოდი, აგერ დამიჯექი, პირდაპირ! შენა ხარ, მაშ, ჩირაძე?! რაშია საქმე, რამ შეგაწუხა?!.

— ისეთმა არაფერმა, მაგრამ სამუშაო პირობები...

— შენ ოსტატად არ დაგნიშნე ამას წინათ კარამელის საამქროში?!. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ისტორიკოსის დიპლომი უნდა გქონდეს?!.

— არ გღალატობთ!

— თუ არ ვცდები, ტექნოლოგ კარამელაშვილს გვერდი ავუარეთ და შენ დაგაწინაურეთ!..

— არ ცდებით!..

— აბა, რა მოხდა?!

— საამქროში დიდი სივრცეა...

— მერე?!

— მერედა, ის მოხდა, ჩემო ბატონო, რომ მე ბავშვობიდან სივრცის შიში მაქვს! თუ არ გჯერათ, ბიძაჩემს დაურეკეთ!..

— რა არის აქ დაუჯერებელი?! მეც მეშინია სივრცის: რომ მომკლა, გაშლილ ზღვაში გემიდან ვერ გადავხტები, ვერც კლდიდან — უფსკრულში... ბალიშ-კამფეტის საამქროში გადაგიყვან!

— აჰ! ეგეც დიდი საამქროა!

— შემფუთავში?!. ასე, ამ ჩემი კაბინეტისხელაა!

— ეგეც დიდი სივრცეა ჩემთვის!.. მე მგონი, თქვენი მეორე მოადგილის კაბინეტი რომაა, ე, იმხელა სივრცეს კარგად ავიტან!.. ბიძაჩემმა ასე მირჩია. თუ არ გჯერათ, დაურეკეთ!..

— რა არის მანდ დაუჯერებელი?! საქმე ის არის, რომ ჩემი მეორე მოადგილე გორიძის მამიდაშვილია!

— საქმეც ეგ არის, ამ დილით გორიძე მოუხსნიათ! თუ არ გჯერათ, ბიძაჩემს დაურეკეთ!

— ეგ კი დაუჯერებელია!.. უნდა დავრეკო!.. ალო, ბარამ ბაირამოვიჩი ბრძანდებით? დიახ, პანტიძე ვარ!.. მართალია გორიძის ამბავი?.. რას ბრძანებთ?! ახია მაგაზე! აბა, რა ეგონა?! კი... დიახ!.. ჰო, მართლა, ჩვენ ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული მუშაკი გვყავს, ჩირაძე! რა ბრძანეთ?! დიახ, დიახ, არის აზრი, ჩემს მეორე მოადგილედ დავაწინაუროთ!.. თქვენ რას გვირჩევთ?!.

ლერი ჩანტლაძე

წინადადება თუ გაქვთ?

ჩვენს ოთახში მდივანი შემოვიდა და ძუნწად მომიგდო:

— ის გიბარებს!

„ის“ ჩვენს დაწესებულებაში დირექტორად იწოდებოდა. არ დამიხანებია, „ის“-ის კაბინეტის კარი შევაღე:

— შეიძლება?

— შემოდი! — შემიპატიჟა დირექტორმა.

— თქვენ გამომიძახეთ? — ვკითხე მე.

— კი! დაბრძანდით, ყმაწვილო!

მე სავარძელში ჩავჯექი, ხმელი სკამიც იდგა, მაგრამ სავარძელი ვარჩიე.

ის ქაღალდებს აშრიალებდა, თითქოს ამის გაკეთება ჩემს შემოსვლამდე არ შეეძლო. მერე რაღაც დოკუმენტებზე აწერდა ხელს. ხელის მოწერით რომ დაიღალა, ტელეფონს ეცა, ზოგს ფეხქვეშ გაეგო, ზოგი დატუქსა, ზოგს მიესიყვარულა და, როცა ჩემი ნერვები მიწასთან გაასწორა, ღიმილით მკითხა:

— რამდენი წელია, რაც ჩვენთან მუშაობთ?

— შვიდი!

— რამდენჯერ დაგაწინაურეს?

— არც ერთხელ!

— მერედა, რატომ?!

— იმიტომ არ მაწინაურებენ, რომ...

— კაი, კაი, გასაგებია! წუწუნი საშინელებაა!

— რა ბრძანეთ?! — იქით შევეკითხე დირექტორს.

— არაფერი, ჩემთვის ვთქვი! გადავიდეთ საქმეზე: გამოგონება თუ გაქვთ?

— გამოგონება კი მქონდა, ალბათ, დაინერგებოდა კიდეც, თანაავტორობაზე ზოგიერთს რომ დავთანხმებოდი.

— კარგი, კარგი, გასაგებია! ინდივიდუალისტია, გაურბის კოლექტივს!..

— რა ბრძანეთ?!

— არაფერი, ჩემთვის ვთქვი! გადავიდეთ საქმეზე: საზოგადოებრივი დატვირთვა თუ გაქვთ?

— როგორ არა, სამსახურში თავის დროზე ვცხადდები!

— მარტო ეგ არის?! — მოიღრუბლა დირექტორი.

— არა, ბატონო! ერთხელ ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილედ მირჩევდნენ და...

— საკმარისია, საკმარისი! ყველაფერი გასაგებია! კარიერისტობისაკენ სწრაფვა!

— ვერ გავიგე, რა ბრძანეთ?!

— არაფერი, ჩემთვის ვთქვი! გავაგრძელოთ საუბარი: მივლინებაში თუ დადიხართ ცოდნის დონის ასამაღლებლად?

— იცით რა? რამდენჯერაც გადაწყვიტეს ჩემი მივლინებაში გაგზავნა, იმდენჯერ მომიბოდიშეს: სამივლინებო ხარჯები ამოიწურაო და...

— ყველაფერი ნათელია! ინიციატივას არ იჩენს!

— ბოდიში, ბატონო! ბოლო სიტყვები ვერ გავიგე!

— არაფერი, ჩემთვის ვთქვი! გავაგრძელოთ საუბარი: ენერგეტიკული რესურსების ეკონომიაზე თუ გიფიქრიათ?

— ამ საკითხზე ჩემი მოსაზრებაც მაქვს!

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — მაჩქარებდა დირექტორი „ის“.

— მე გამომთვლელ მანქანაზე გამოვიანგარიშე: თუ თქვენს პერსონალურ მანქანას მხოლოდ დაწესებულების საქმისათვის გამოვიყენებთ, მაშინ წელიწადში სამი ათას მანეთ ეკონომიას მივიღებთ, ამით კი...

— გასაგებია, გასაგებია!.. სხვის საქმეში უყვარს ცხვირის ჩაყოფა!..

— რა ბრძანეთ?! ბოლო სიტყვები ვერ გავიგე!

— დაწყნარდით, ისე, ჩემთვის ვთქვი! სამუშაო დროის მომჭირნეობაზე თუ გიფიქრიათ?

— როგორ არა! აი, თქვენი კაბინეტის კარზე აბრა რომ გაქვთ გაკრული—„მიღება მხოლოდ ორშაბათობით!“ — უნდა გაუქმდეს, ამით კი ლოდინში დრო აღარ დაგვე...

— კარგი, კარგი, გასაგებია!.. ქაოსის მომხრეა!

— ოჰ, ეს რა მემართება?! ბოლო სიტყვებს ვერ ვიგებ! — ავნუწუნდი მე.

— არაფერია, არაფერი! გავაგრძელოთ საუბარი: ჩვენი საქმიანობის თაობაზე რაიმე კარდინალური წინადადება თუ გაქვთ?

— რის შესახებ?

— აი, მაგალითად, საკითხის გადაწყვეტა ერთ საათში რომ შეიძლება და მთელ კვირას რომ ვანდომებთ!

— მაგას რა კარდინალობა უნდა?! თანამშრომლებს მივცეთ ჭეშმარიტი მსჯელობის საშუალება და საკითხი ნახევარ სა...

— კარგი, კარგი, გასაგებია!.. თანამშრომლების აბუნტება სურს!

— რა ბრძანეთ?! ბოლო სიტყვები ვერ გავიგე!

— ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ხარ და რაიმე ჭკვიანური წინადადება ხომ უნდა გქონდეს? იქნებ დასვენება გჭირდება?! წაბრძანდი, იფიქრე, რაიმე ახალი შემოიტანე ჩვენს საქმიანობაშიც და პირად ცხოვრებაშიც!..

მეორე დღეს დირექტორმა კვლავ გამომიძახა:

— მოიფიქრეთ წინადადება?

— დავფიქრდები!..

— . . .

მესამე დღეს დირექტორმა კვლავ გამომიძახა:

— მოიფიქრეთ წინადადება?

— ვფიქრობ!

— აბა, შენ იცი!

მეოთხე დღეს ისევ გამომიძახა:

— მოიფიქრე?

— ვფიქრობ!

. . .

— მოიფიქრე?

— ვფიქ...

— კარგია!

. . .

— მოიფიქრე?

— ვვფ...

— კარგია, წინსვლა გეტყობა!

. . .

— მოიფიქრე?

— მმმ...

— მთლად უკეთესი!

და ასე დამერქვა დაფიქრებული კაცის სახელი.

ავთანდილ ადისეი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— რის ანგელოზი, რა ანგელოზი?! გამოტყდი, ეგ ფრთები ვის მოპარე?!.

ნახ. ლ. ზამბახიძისა

— ახალი რა მოიღეთ?
— გეგმა, ბატონო!..

ᲣᲙᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ!..

ᲛᲘᲜᲘᲜᲝᲕᲔᲚᲐ

უკვე, კარგა ხანია, შესვენებაზე სამსაუხოროდან გაჩერი არ გაგსულვართ. ჩვენი დანესებულების ყველა კორპუსში ბუნაობს ბუფეტი. კორპუსებიც ერთმანეთის მიგარიაია. ასე რომ, ნასაუზმსებადად ქალაქში არ მიწევს ნანნნალი.

— თუ შეიძლება, მომეცით ერთი ულუფა სოსისი! — მიემართავ ჩვენი კორპუსის ბუფეტში მდგომ თეთრჩალთოიან ქალბატონს.

— ინებეთო! — ისმის ნაზი პასუხი და, სანამ მაგიდას მოეუფდებოდე, სოსისს თეფშზე ორთქლი ასდის!..

— პური არა გაქვთ, ალბათ? — ეკითხულობ სხვათა შორის, პასუხს არც ველოდები და ვეტყოდ ეუსიენეგიე სოსისს. ჩინებული სოსისია, ტასადენი გაიკვლევ.

გადადგიდავარ მეორე კორპუსში.

— თუ შეიძლება, ერთი ნაჭერი პური მოგეცეთ! — მიემართავ მეხუთეტაქს.

— რა გაქვთ ნაჭაბი?

— სოსისი.

— მაშინ ლაგამს მოგარომეეთ!

— კარგი იქნება! — ეუპასუხება და ლაგამის ხსენებაზე ნერწყვი მომეგის.

ეს ლაგამი ლაგამს და გადადგიდავრ მესამე კორპუსში.

— მდოგეი ბეტრი რა გკაქვს! — მეუბნება გაკვირვებული ბეხუფეტე და ერთ თეფშ მდოგეს მაწვდის.

— მდოგეი რად მინდა?! სულ ორი ცალ-სოსისი მაქვს ნაჭაბი!..

— რამდენიც გენებოთ, მდოგეი რა ბედნაა!.. — მიღიმის თეთრხალათიანი მანდილოსანი.

— თუ არ შეწუხდებით, ერთი ჭიქა ჩაი დამისმეთ! — ფიხოე ქალბატონს და მოთუხოფეზე ჩაიდანს მზერას ვაგდებ.

— ჩაი გაგვითავდა, მდფუარე წყალს მოგართმევთ, თუ გნებავთ!

— იყოს, მომართეთ! — და... ვსვამ მდფუარე წყალს.

ჩარს ნაყენისთვის მეოთხე კორპუსში გადადიგარ.

— რამდენი ჭიქა მდფუარე წყალი გაქვთ დალეფული? — მეკითხება მებუფეტე და როცა ჩემს პასუხს გაიგებს, ისეე მომმართავს, — რომელი ჩაი გნებავთ, შავი თუ მწვანე?

— შავი იყოს!

— მაშინ, ორფოთლიანი ფუღისგან დამზადებულ ფმაღლესი ხარისხის შავი ბაიხი! ჩაის ნაყენს მოგართმევთ!

რა უნდა ერთი ყლუპი ჩაის ნაყენის გადაკეკრის და... მაკრონისთვის მეხუთე კორპუსში გადადგიდავარ... იქიდან ხელის დასაბანად მეეტეფსე კორპუსში ამოყვეფ თავს, იქ დფუფეს არ ჰკვია ტუალეტში და ხელი მემეფდე კორპუსში ეიმშრალეთ!.. ამბასობაში მეთავრდება!..

უკვე კარგა ხანია, შესვენებაზე ქალაქში ალარ დავწანწალე ნასაუზმეს



სალაღობო — აკაკი გელოვანს

გხურავს ქუდი სვანური,
ზოგჯერ კიდევ — შლიაპა!
არც პირველი გიშოვია,
არც მეორე — იაფად!
ერთიცა და მეორეც
რომ ნამუსის ქუდია, —
კუდით ქვა ასროლინე
უკუდოს თუ კუდიანს!
ეს რომ ასე არ იყოს,
არც კი გაგიღიმებდი!
ღმერთმა ნუ მოგიშალოს
შენი შრომის იმედი!
ზოგი გაქებს, გადიდებს!..
ზოგი ფუჭად გაგინებს!...
ვერც ქება და ვერც ლანძღვა
გზა-კვალს შენ ვერ აგირევს!
იუბილეს გილოცავ
ყველა იმათ მაგიერ!
შენი უშბაც გლოცავდეს
მრავალ, მრავალჟამიერ!

ევგენი ბართაია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ, „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიით, გამოსცა **აკაკი გელოვანის** „ეპიგრამები“.

წიგნს წამძღვარებული აქვს მწერლის **ტარიელ ნიფარაძისეული** მეგობრული შარჟი, მხატვრულად გაფორმა **ანდრო კანდელაკმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სტუმარია ნი ფლის

აკაკი გელოვანი

ჩემი წიგნები

ნაზი **ჰაინე** მაკვირდება ბრძენთა თვალითა
და ბოდენშტედტი „**ათას ერთი დღის**“ გოდოლს აგებს;
ჯორდანო ბრუნო გადმომცქერის ცეცხლის ალიდან:
ხუმრობს „**პერ გუნტი**“ — კუმავს კუშტი „**იბსენი**“ ბაგეს;
ზღვად დარნეულა სიტყვა — დიდი „**ტარასის**“ თქმული;
ვგმობ **თავმდაბლურად,** ვინც ნექტარში სამსალას გვირევს;
ციურ შუქს აფრქვევს დამსხვრეული „**მოპენის გული**“
და ბინდი ბურავთ „**გერმანული ბალადის**“ გმირებს;
„**დიდი ბალზაკი**“ ცვაიგს უმზერს უკვდავთა ბაღში;
„**მოგზაურობა ჯადოსნური**“ ბავშვებს აოცებს;
„**სვანურ ბალადებს**“ მღერის კოშკში მოხუცი მახვში
და „**მაგელანი**“ მოუძღვება დაღლილ ზღვაოსნებს;
ჰარამხანებად აქცევს ტაძრებს „**ბალთაზარ კოსა**“;
ბარათაშვილის „**ნათლის სვეტი**“ ადგას მთაწმინდას;
ჩემი კეთილი „**ქვედლები**“ ბოჭავენ დროსა
და „**ანდერსენი**“ გავაცანი ქართველ ყმანვილთაც;
გოეთეს სიბრძნის საგანძურში მივლია კრძალვით
და დღეს **ჰაუფიც** საქართველოს მეგობარია;
შთაგონებულმა „**მიჯაჭვული ტიტანის**“ ძალით
ერს გავაცანი მომხიბლავი როზემარია;
„**მესინის სარძლოც**“ ამეტყველდა ქართულ ენაზე;
გვესმის **ვეერთის** ფეიქართა დარდი და რისხვა;
გვხიბლავს **ლაქსნესის** გმირი ქალის ზნე და სინაზე;
სვანეთსაც ესმის „**ისლანდიის რისხვის ზარის**“ ხმა;
ჩემი „**სვანეთის თეთრი ქუდიც**“ მღერის „ლილესა“,
დასაბამიდან მზეა მისი დასაფიცარი,
და ბუმბერაზი „**მურზაყანი**“ მახვილს ილესავს,
რომ ტაძრის ქურდებს შეუნგრიოს გულის ფიცარი;
მეც ვუშენ პაპთა „**წმინდა ბუნაგს**“ ცეცხლოვან ისრებს,
მწამს, „**ვატიკანი**“ დროის საჭეს ვეღარ წარმართავს;
„**მონმე არს ჩვენდა მატიანე**“, ეშლებათ გიჟებს
და განახლების მზე უღიმის ახსნილ სამართალს;
ტაქსილის ტომებს გამოვტაცე რწმენა ხვალისა;
მომიყვანია კოლხეთს საძმოდ „**არგონავტები**“;
შლის „**მარად ცოცხალ ხელოვნებას**“ ხალხი ხალისით;
„**ქეთევან ქართველს**“ ესალმება რა გულანთებით!
„**ნიბელუნგებიც**“ მომყვებიან სიმართლის ფარად!
და ნავა „**სიბრძნის სიმფონიაც**“ კარიდან კარად:
„**მითოლოგიურ ლექსიკონსაც**“ ის ადგენს მარტო,
ვისაც ესმის, რომ სამყაროა რთული და ფართო;
მსურს, ყოველ ქართველს ამშვენებდეს „**ქცევის კულტურა**“,
ნიჭის და ზაკვის, მტრის და მოყვრის ჰქონდეს გარჩევა,
მამულის ცაზე მარად ენთოს რწმენის შუქურა,
იტვირთოს ერმა ათჯერ მეტი აკვნის დარნევა!
„**ეპიგრამების**“ გმირებს, ალბათ, არ ეწყინებათ:
სადაც მზეა და მკითხველია, მეც იქ ვიქნები!
ხელში კალამი მხოლოდ მაშინ გამეყინება,
მტვერმოდებული თუ ვიხილე ჩემი წიგნები!..

წლები, წლები!..

მოდიოდნენ!..
მოდიოდნენ შობის დღიდან!..
მოდიოდნენ ყველა მხრიდან!..
ზოგი ცაში აღმაფრენდა,
ზოგი ეჭვით წელში მხრიდა!..

ო, რამდენი მსტუმრებია! —
გამიძნელდა მათი ცნობა:
ყმანვილები, ჭაბუკები!..
მიჭირს ყველას მასპინძლობა!

სულ სამოცი სტუმარია —
მოგუგუნე ზღვა მგონია!

ღმერთო ჩემო! ბარათაშვილს
ოცდაათიც არ ჰყოლია!

თუ ქვებს გვიშენს უსაქმური,
მადლობელი ვართ იმისი:
ქვაც გვინდა რომ ვაგოთ ჩვენი
უბისი და სამთავისი.

თამადა ვარ!.. თეთნულდი ვარ!..
მინდა, ყველას გახსენება!..
მეგობრებო, ჯერ ადრეა
ოლონდ ჩემი დასვენება!

აკ. გელოვანი

ნახ. ა. კანდელაკისა

— რომელ ოჯახს ეკუთვნის ზუთხი?
— ჩვენი მეზობლის ოჯახს პატ. მასწ., ავლაბარში!..

უქმი ოქმი

გაერთიანება ყვლეფტკბილყლაპნუნ-მრეწვის სააქტო დარბაზში გაიმართა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საანგარებო მოხსენება (მომხსენებელი — ღორაშვილი);
2. საზოგადოებრივი საკუთრების დატაცება საყოველთაო საქმეა! (მომხსენებელი — ქურდაძე);
3. არჩევნები.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — ჩხუბიაშვილმა და შარიანმა მკვდარი და ცოცხალი უტრიალეს ერთმანეთს. კამათის შემდეგ გაიმართა ხელჩართული ჩხუბი.

არჩევნები მიმდინარეობდა ფარული კენჭისყრით და აშკარა ქვის სროლით დამთავრდა.

კრებაზე არმჯდომარე — ნიკოლოზ იოსებიძე



— რაც კოოპერირებულ კვებაზე გადავიდა, გამარჯობასაც აღარ კადრულობს!..

სულგამტარები და სულნეტარნი

(ცხადი — სიზმრად)

ქილქუშში დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ბაბუა გამომეცხადა, ქუჩის გადაღმა გარინდებული იდგა და კეთილმოწყალე თვალებით შემომყურებდა.

— შემოდი ეზოში! — შევბედე აჩრდილს. მან ორიოდე ნაბიჯი გადმოდგა მორიდებით და ანაზდად გაშეშდა.

— რა მოხდა?!

— არაფერი!.. რაღაც გამებლანდა ფეხებში!..

— ნუ გეშინია, უბრალო ძაფია! — დავამშვიდე მოხუცი.

— რას ნიშნავს ეს?! — იკითხა გაოცებულმა.

— ამბობენ, მიცვალებულის სული დადისო ამით!..

— რაიო?!

— საკუთარ სახლში მოდის უბედური შემთხვევის ადგილიდან, უფრო სწორად იქიდან, სადაც აღსასრული დაუდგა. როგორც კი ცხედარს ნაასვენებენ, ღამით უჩინრად გაჭიმავენ ძაფსაც სულის მოსაბრძანებლად, ისე ვერ მიაგნებსო სახლს!..

— ჰმ!.. ვინ მოიგონა ეს?!.

— როგორ?! უწინ არ იცოდით, თუ?!.

— არა! ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მხარეში არ გამიგია!

ბაბუა წამით დაფიქრდა, მერე ისევ განაგრძო, — ვთქვათ, ვიღაც სადმე, ძალიან შორს, ჩაიბარა უფალმა, მის სულს არ ეღირსება ოჯახში გავლა?!

— მანძილს რა მნიშვნელობა აქვს?! კაპიკიან საქმეზე რომელი ჭირისუფალი შეიკავებს თავს?!. ერთი აქაური კაცი ქუთაისთან ახლოს გაიტანა მანქანამ. ნათესავებმა იქიდან აქამდე — მთელ ას კილომეტრზე — გაჭიმეს ძაფი. ხუთასამდე კოჭი დასჭირდათ!..

— დავუშვათ, ვერ მოხერხდა ძაფის გაბმა?!.

— მაშინ ცხონებულის სული არ იქნება ნეტარი და სამოთხეშიც გაუჭირდება შესვლა!..

— გამოდის, რომ ძაფზე გავლილი სული ყველა ნეტარია?..

— ასეა!.. სულგამტარები უფრო ხშირად ავტოავარიის ადგილებიდან და საავადმყოფოებიდან ილებენ სათავეს. მერე სხვადასხვა მიმართულებით მიემართებიან ქუჩების, გზების, მოედნების, ტრასების გავლით...

— ახლა რომელი ნეტარხსენებული მოდის ნეტავი?..

— ალბათ, ამას წინათ უეცრად გათავებული ახალგაზრდაა, სულკურთხეული. ექვსასაკიან ქორწილში თამადად ყოფილა, შინ დაბრუნებულს გზაში ინფარქტმა დაარტყა!..

— ეჰ! ძალით აჩქარებენ ჩვენთან ნამოსვლას, ბაბუ! არ ვაკეთებდით ძველად ასე ჩვენ!.. ეს ძაფიც რა ეშმაკმა მოგაგონებინათ?!.. აუცილებლად თეთრი უნდა იყოს?!..

— კი, შავს სული არ გაეკარებაო! ამიტომ თეთრი ძაფი იშვიათი საშოვნი გახდა, არაა მაღაზიებში!

— ეს სიახლე მარტო ზუგდიდშია?!.

— არა, მასიურადაა გავრცელებული მეზობელ რაიონებშიც: წალენჯიხაში, ხობში, ჩხოროწყუში, ცხაკაიაში, გალში...

— აუჰ! — საათს დახედა აჩრდილმა, — საცაა, ინათებს, წავალ აწი, თორემ რიჟრაჟმა თუ მომისწრო, სამოთხის მორიგე ანგელოზი კარს არ გამიღებს!

— საჩუქარი არ გაჭრის?!.

— ახალდანიშნულია ამ პოსტზე!.. აბა, ძველი ათ მანეთად შენს მაგიერ ჩაეშვებოდა ჯოჯოხეთში!..

— კარგი, დავშორდეთ, მაშინ! მეც ცხრაზე პირდაპირ თათბირზე უნდა გამოვცხადდე. ხალხმრავალი ქელეხებისა და ქორწილების, მავნე ნესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხს ვიხილავთ.

ანზორ ბარამია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი
ზუგდიდის ზონაში



მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა

იუმორესკა

არ არსებობს ქვეყნად მეგობრობაზე ტკბილი გრძნობა. ნათქვამია, უმეგობრო კაცი კაცი არ არისო. ჩვენი უკვდავი „ვეფხისტყაოსანიც“ ხომ მეგობრობის აპოლოგიაა?! მეც მყავს მეგობრები, დავდივარ ლაღად ამ ცისქვეშეთში.

დღეს, სამსახურში რომ მივდიოდი, გაჩერებასთან მეგობარი შემხვდა. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი, თითქმის ხუთი წუთი ვისაუბრეთ და ვიმეგობრეთ ავტობუსის მოსვლამდე.

სამსახურში, ვიდრე კაბინეტში შევიდოდი, დერეფანში შემხვდა თანამშრომელი, რომელთანაც თორმეტი წლის მეგობრობა მაკავშირებს. ჩამოვართვით ერთმანეთს ვაჟკაცურად ხელი. ამჯერად სამ წუთს გასტანა ჩვენმა მეგობრობამ.

კაბინეტში სამნი ვართ. დღეს შვიდ წუთს მოგვიწია სამეულს მეგობრობამ. მერე ერთი გავიდა. ორმა განვაგრძეთ ძმობა, რომელმაც ცხრა წუთს გასტანა. ვინ იცის, კიდევ სანამ გაგრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა, უფროსს რომ არ გამოვეძახე?!

უფროსთან სამი წუთი და ოცდასამი წამი ვიმეგობრე. წარმოების ხელმძღვანელმა გაერთიანებაში გამგზავნა. გზაზე ორ კაცთან მოვასწარი ძმობა. ერთთან ხუთი წუთი ვიმეგობრე, მეორესთან — სამი.

გაერთიანების უფროსის მდივან გოგონასთან ორი წუთი და ოცდახუთი წამი ვიმეგობრე. მართლაც რომ სამეგობროდ არის გაჩენილი ის დალოცვილი!..

გაერთიანების უფროსთან ოთხი წუთი გაგრძელდა ჩემი მეგობრობა.

უკან დაბრუნებისას სამი, ხუთი და შვიდწუთნახევარი ვიმეგობრე სხვადასხვა პირებთან.

შესვენებაზე, ბუფეტში, სამ კაცთან მოვასწარი ძმობა.

ვინ მოთვლის, სამუშაო საათების დამთავრებამდე და შინ დაბრუნებამდე კიდევ რამდენ ვინმესთან მოვასწარი მეგობრობა.

არ არსებობს მეგობრობაზე უფრო ტკბილი გრძნობა. შეხვდები შალიკოს, მიესალმებით, მიიკითხ-მოიკითხავთ, ის მიწასთან გაასწორებს, მოსპობს, გაანადგურებს ჭიჭიკოს, შენ ნავთს დაასხამ ცეცხლზე, ანდა, პირიქით. შეხვდები ჭიჭიკოს, გადაეხვევით ერთმანეთს, შენ დაასამარებ შალიკოს, ის ბენზინს დაუმატებს ცეცხლზე, ანდა, აქაც პირიქით.

ასე, მეგობრობაში გადის მთელი დღე.

გასა გეგია

სალაღობო—ოთარ თურქიას

ჩვენს სახელოვან ფოტოხელოვანს,
ფოტოჟურნალისტს —
ოთარ თურქიას

აქებს აზია, აქებს ევროპა,
ამერიკასაც ბევრჯერ უქია!..

შვენის ჰუმორი, შვენის ქველობა,
მამულის უღელს უხმოდ **უბია!**
იწვის ფერადი შემოქმედებით,
მკერდში ბაჯაღლო გული უნთია!..

თავისი საქმის დიდოსტატია,
ბევრ ახალგაზრდას გზა გაუკვლია!
ნიჭიერთათვის მფარველობა და
ზრუნვა, ამაგი არ დაუკლია!

მადლის გარდა და სიკეთის გარდა,
არავისათვის არა უქმნია!
თუ ადამიანს არ დაეხმარა, —
თურქიასათვის ის დღე უქმია!

გადაგიღებს და გამოგამყლავნებს, —
იმ შემთხვევაში, — ფირი თუკი აქვს!..
თავდადებული ერისკაცია,
მოცლა არა აქვს ერთი წუთითაც!

პატივს არა სცემს იგი ნეგატივს
(ნეგატიური, იცის, ცუდია!)
და პოზიტივად აქცევს მაშინვე
(პოზიტიური მისი კულტია!)

მომხიბვლელ რაინდს, ჯენტლმენს,
გულღიას
მთლად საქართველო გადაუღია!
ფოტოალბომთა, ფოტობუკლეტთა
შექმნა-შედგენას არ დაუღლია!..

გამოფენებზე ოქროს მედალზე
ნაკლები ჯილდო არ მიუღია!
თავკაცობს ქართულ ფოტოქრონიკას,
მის კაბინეტში მუდამ შუქია!

დღეს სამოცი წლის მზეჭაბუკია
ნაღდი ქართველი — ოთარ თურქია!
ახლაც გაჰყვირის ყველგან თამამად
მისი ნაღარა, მისი ბუკია!

ნიანგი

თელავის რკინიგზის სადგურთან, უგზოობის გამო, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ვერ მიდის.

ნახ. მ. აბაშიძისა



— მატარებელზე თუ გაგვიანდებათ, სადგურამდე ჩვენ მიგიყვანთ!..

№ 332
16.V 83
ეროვნული ბიბლიოთეკა

„მამული = = შვილი“



ნახ. ი. ყეინაშვილისა

ჯინსები და ქურქები —
თბილები და გრილები!,
გოჭები და ჭუკები,
სუკები და რბილები!..

ვარიები, ხბორები,
ბატკნები და თიკნები,
ნოხები და ბროლები,
კარადებში — წიგნებიც!..

სუფრა რომ დამშვენდება
მოთალით და ხრამულით,
მაშინ გაახსენდება
სამშობლო და მამული!..

საცივი და ბასტურმა,
შქმერული, ჩაქაფული!..

გემოვნების დასტურად —
მადა — მართლაც ზღაპრული!..

დაჩვეული ტკბილ საკენკს,
თავს სულ ისე გვაჩვენებს,
თითქოს კრწანისისაკენ
ბედაურს მიაჭენებს!..

ხარბად დაწაფებული
ამქვეყნიურ სიკეთეს,
ქადაგის და გვემულის
ნიღაბს მარჯვედ იკეთებს!..

რა ქნას?! — ყველა საქმე აქვს
მოკვარახჭინებული!..
ერთი რამე აკლია —
გვირგვინი წამებულის.

თედო გეჭიშვილი

ნიანგს უპასუხებენ

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო რესპუბლიკური გაერთიანება თბილხილბოსტანვაჭრობა:

ჟურნალ „ნიანგის“ გასული წლის მე-16 ნომერში სათაურით — **„გოლი საკუთარ კარში“** — გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მოყვანილ ფაქტებზე იმსჯელა თბილხილბოსტანვაჭრობის დირექციასთან არსებულმა ვაჭრობაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის სხდომამ, სადაც მოწვეული იყვნენ სისტემის პასუხისმგებელი მუშაკები და ჟურნალში დაბეჭდილ წერილში მხილებული ობიექტებისა და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელები.

თბილხილბოსტანვაჭრობის დირექციის ბრძანებით, წერილში მხილებული დარღვევებისათვის, № 109, № 46 და № 34-ე პავილიონების გამგეებს — **ჯ. ჭიჭინაძეს, გ. ტომარაძესა** და **ო. ფოცხვერიას** გამოეცხადათ საყვედურები და გაფრთხილებულნი იქნენ, რომ, მსგავსი დარღვევების შემთხვევაში, გათავისუფლებულნი იქნებიან სამუშაოდან.

№ 52-ე მაღაზიის გამგის მოვალეობის შემსრულებელი **ვ. სოკუროვი** გათავისუფლებულია სამუშაოდან.

№ 53-ე მაღაზიის გამგე **ზ. მესხი**, ობიექტში გამოვლენილი დარღვევებისათვის, გათავისუფლებულია გამგის მოვალეობისაგან და ჩამოქვითებულია უფროს გამყიდველად, ხოლო ამავე მაღაზიის უფროსი გამყიდველი **ვ. მათიაშვილი** გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

დაქვემდებარებულ ობიექტებზე სუსტი კონტროლისათვის მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი ლენინის, ოქტომბრის, კიროვისა და გლდანის რაიგანყოფილებების დირექტორები — **ა. კიკნაველიძე, ე. ნიფურია, შ. კობერიძე** და **ბ. ხოჭოლავა.**

გაფრთხილებული იქნენ თბილხილბოსტანვაჭრობის ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, რათა შემოწმების შედეგები რეგულარულად შეიტანონ მაღაზიების საკონტროლო ჟურნალებში.

●

საქართველოს სსრ მცხეთის რაიკოოპკავშირის პურკომბინატი:

„ნიანგის“ გასული წლის მე-19 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი **„ფენოვანი პური“** — სინამდვილეს ასახავს.

იყო შემთხვევა, როცა ღამის ცვლაში მზელავებმა, შავი პურის ცომის მოზელის შემდეგ, გაუწმენდავ ბუნკერში გაუშვეს თეთრი ცომი, ამიტომ მას შრეებად გაპყვა შავი ცომის ნარჩენები.

აღნიშნულ ფაქტზე იმსჯელა ქარხნის დირექციამ და დამნაშავენი დასაჯა.

მიმდინარეობს ქარხნის მანქანა-დანადგარების კაპიტალური შეკეთება, რის შედეგადაც პურის ხარისხი ბევრად გაუმჯობესდება.

●

ბოლნისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

„ნიანგის“ გასული წლის 21-ე ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული ინფორმაცია წითელ სოფელში ხიდის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ, სინამდვილეს შეეფერება.

ხიდის მშენებლობა წელს დამთავრდება.

7-83

83-332

რეიგანის ადმინისტრაცია, ყბადაღებული „საბჭოთა მუქარის“ საბაბით, აძლიერებს „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ სოციალიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა საფრთხე
ომი
ომი
ომი